

მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

1. შესავალი დებულებები

1.1. სააქციო საზოგადოება „ბაზისბანკის“ (საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ლიცენზირებული კომერციული ბანკი, სკ 203841833 (შემდგომში - **ბანკი** ან **ჩვენ**)), მონაცემთა დაცვის წინამდებარე პოლიტიკა (შემდგომში - **პოლიტიკა**), საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებზე და საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით ადგენს პერსონალური მონაცემების დამუშავების ჩარჩო პირობებს.

2. პოლიტიკის მოქმედების სფერო, ცვლილება

- 2.1. წინამდებარე პოლიტიკა ვრცელდება ბანკზე და გამოიყენება პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს.
- 2.2. პოლიტიკა ვრცელდება ბანკის კლიენტ ფიზიკურ პირებზე (შემდგომში „კლიენტი“ ან „მონაცემთა სუბიექტი“), ბანკის თანამშრომლებზე და ბანკის კონტრაქტებზე.
- 2.3. პოლიტიკა არ ვრცელდება ანონიმურ და არაიდენტიფიცირებად მონაცემებზე (მაგალითად მონაცემები სტატისტიკური შეფასების ან შესწავლის მიზნებისთვის), რადგან ისინი არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს. ამასთან, პერსონალურ მონაცემად მიიჩნევა მხოლოდ იმგვარი ინფორმაცია, რომელიც იძლევა პირის - მონაცემთა სუბიექტის პირდაპირ ან არაპირდაპირ იდენტიფიცირების საშუალებას საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.
- 2.4. პოლიტიკა, შესაძლოა, დროდადრო განახლდეს. პოლიტიკის უახლესი ვერსია ხელმისაწვდომია ბანკის ვებგვერდზე:

3. პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები

- 3.1. პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს, აუცილებელია დაცული იყოს მონაცემთა სუბიექტის უფლებები. პერსონალური მონაცემები უნდა შეგროვდეს და დამუშავდეს კანონიერად და სამართლიანად.
- 3.2. პერსონალური მონაცემები შესაძლოა დამუშავდეს მხოლოდ იმ მიზნით, რა მიზნისთვისაც მონაცემები შეგროვდა. მონაცემთა დამუშავების მიზნის შემდგომი ცვლილება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და მოითხოვს შესაბამისი საფუძვლების არსებობას.
- 3.3. მონაცემთა სუბიექტი უნდა იყოს ინფორმირებული იმის შესახებ, თუ როგორ ხდება მის შესახებ არსებული მონაცემების დამუშავება. ზოგადად, პერსონალური მონაცემები უნდა შეგროვდეს უშუალოდ იმ პირისგან, ვისაც ეს მონაცემები ეხება.
- 3.4. ბანკის მიერ წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული მიზნებით მონაცემების დამუშავება გაგრძელდება იმ ვადით, რომელიც შესაბამეა ბანკის მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია მარეგულირებლის მიერ ან/და გათვალისწინებულია კანონმდებლობით.
- 3.5. დაცული პერსონალური მონაცემები უნდა იყოს შეძლებისდაგვარად ზუსტი, სრული და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. აუცილებელია ისეთი ზომების მიღება, რომლებიც უზრუნველყოფს არაზუსტი ან არასრული მონაცემების განადგურებას, შესწორებას, დამატებას ან განახლებას.

4. მონაცემთა დამუშავების ფარგლები

- 4.1. ბანკის მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, ბანკი უფლებამოსილია, წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული მიზნებით, განახორციელოს მონაცემთა სუბიექტის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის მისი პერსონალური მონაცემების, დამუშავება.
- 4.2. ბანკის მიერ მონაცემთა დამუშავება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, კერძოდ, მათ მონაცემთა სუბიექტისაგან ან წინამდებარე პოლიტიკაში აღნიშნულ მესამე პირ(ებ)ისაგან მოპოვებას, შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გამჟღავნებას (მათ შორის ინფორმაციის გამოთხოვას ან/და გამჟღავნებას წინამდებარე პოლიტიკაში აღნიშნულ მესამე პირ(ებ)ისთვის, რომლებიც შემდგომში განახორციელებენ მონაცემთა დამუშავებას წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული მიზნით) მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას.
- 4.3. ბანკის ან/და წინამდებარე პოლიტიკაში აღნიშნული მესამე პირების მიერ ხორციელდება მონაცემთა სუბიექტის ან მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის შესახებ არსებული ინფორმაციის დამუშავება (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ბანკის შეკვეთით უფლებამოსილი პირების მიერ ან/და როდესაც თავად ბანკი არის უფლებამოსილი პირი და მესამე პირების, როგორც მონაცემთა დამუშავებლის, დავალებითა და მათ სასარგებლოდ მოქმედებს) ან/და წინამდებარე პოლიტიკაში აღნიშნული მესამე პირებისთვის ამ ინფორმაციის გადაცემა კონკრეტული მიზნებისთვის, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი პერსონალური მონაცემებით:

- 4.3.1. მონაცემთა სუბიექტის სახელი და გვარი;
- 4.3.2. პირადი ნომერი ან/და მისი ელექტრონული პირადობის მოწმობის უნიკალური მახასიათებლები;
- 4.3.3. რეგისტრირებული ან/და ფაქტიური საცხოვრებელი მისამართი;
- 4.3.4. ტელეფონის/მობილურის ნომერი;
- 4.3.5. ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- 4.3.6. საკრედიტო ისტორია (როგორც ნეგატიური ასევე პოზიტიური, მათ შორის მიმდინარე ან/და წარსულში არსებული დავალიანების, სესხებისა და მათი დაფარვის დეტალები) და გადახდისუნარიანობის სტატუსი (მონაცემთა სუბიექტის გადახდისუნარიანობის შეფასების ქულა, მისი კრიტერიუმები ან/და მეთოდოლოგია);

4.3.7. მონაცემთა სუბიექტის საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ნივთები და მათი მახასიათებლები;

4.3.8. დამსაქმებლის მონაცემები, აგრეთვე ინფორმაცია დასაქმების პირობების შესახებ (დასაქმების ადგილი, ხელფასი, სამუშაო გრაფიკი და სხვა);

4.3.9. ბანკში და საქართველოში მოქმედ სხვა კომერციულ ბანკებში ანგარიშ(ებ)ის შესახებ ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ანგარიშებზე კონკრეტული დროისა და თარიღისთვის არსებული ნაშთები, და კონკრეტულ პერიოდში ამ ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციები;

4.3.10. ბანკის ან/და საქართველოში მოქმედი სხვა კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული ბარათების და შესაბამისი საბარათე ანგარიშების ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ბარათებზე კონკრეტული დროისა და თარიღისთვის არსებული ნაშთები და კონკრეტულ პერიოდში ამ ბარათებზე განხორციელებული ტრანზაქციები, ასევე მათი წვდომის კოდები;

4.3.11. სხვადასხვა საგადახდო პროვაიდერებთან დაფიქსირებული მონაცემთა სუბიექტის ანგარიშის/აბონენტის მონაცემები (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ანგარიშის/აბონენტის ნომერი, მისამართი, სააბონენტო ანგარიშზე კონკრეტული დროისა და თარიღისთვის არსებული ნაშთი ან/და დავალიანება, სააბონენტო ანგარიშზე განხორციელებული ტრანზაქციები ან/და ბალანსის შევსება ან/და დავალიანების დაფარვა, და სხვა);

4.3.12. სხვადასხვა ელექტრონულ არხებში ან/და ინტერნეტ სივრცეში გამჟღავნებული ნებისმიერი მონაცემი (მათ შორის და არამარტო მზა ჩანაწერები ე.წ. cookies და სხვა) და მონაცემთა სუბიექტის ან/და მას მიერ მითითებული მესამე პირ(ებ)ის აქტივობა აღნიშნულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ასეთ არხ(ებ)ში დალოგინებისა და ჩატარებული ქმედებებისა თუ ტრანზაქციების ისტორია);

4.3.13. ინფორმაცია ოჯახის წევრების, ნათესავების ან მისამართზე მცხოვრები სხვა პირების შესახებ;

4.3.14. ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომელიც უკავშირდება მონაცემთა სუბიექტი და რის შედეგადაც შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირება ან/და დახასიათება ან/და რისკის პროფილის განსაზღვრა ან/და სხვა პირებთან მისი დაჯგუფება პირის ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებითა თუ ზემოთ მოყვანილ ქვე-პუნქტებში ჩამოთვლილი ან ნაგულისხმევი ტრანზაქციული აქტივობით.

4.4. თუ მონაცემთა სუბიექტი, მომსახურების მიღების მიზნით, ბანკს აწვდის მესამე პირების (დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები პირი, ოჯახის წევრები, დამსაქმებელი და სხვა) შესახებ ინფორმაციას, მათ შორის და არამარტო ინფორმაციას პერსონალური მონაცემების, გადახდისუნარიანობის, ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და სხვა, ხოლო ბანკი ახორციელებს აღნიშნული ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, დამუშავებას საბანკო მომსახურების შესრულებისთვის ან/და მარკეტინგული მიზნით, მონაცემთა სუბიექტი თავად არის ვალდებული მოპოვებული ჰქონდეს აღნიშნულ პირთა თანხმობა, მათი პერსონალური მონაცემების ბანკის მიერ დამუშავებაზე. მონაცემთა სუბიექტის მიერ ამგვარი ინფორმაციის ბანკისთვის (ან მისი უფლებამოსილი პირისთვის) მიწოდების ფაქტი გულისხმობს მონაცემთა სუბიექტის მიერ ამ პიროვნებისგან თანხმობის მოპოვებას და აღარ საჭიროებს ბანკის მიერ ასეთი დასტურის მოპოვებას. მონაცემთა სუბიექტი თავად არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიაღგენს ბანკს მონაცემთა სუბიექტის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. მონაცემთა სუბიექტი თანახმაა აუნაზღაუროს და დაიცვას ბანკი ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც ბანკი გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

4.5. ბანკის მიერ ელექტრონულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ვებ-ბრაუზერი, ბანკის ვებ-გვერდი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი, ბანკის მობილური აპლიკაციები, გადახდის აპარატები, ბანკომატები ან/და მონაცემთა გადაცემისა და მიღების სხვა ტექნიკური საშუალებები და არხები) მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემების დამუშავება, ასევე მოიცავს მონაცემთა სუბიექტის აქტივობის ჩაწერას (მაგ. ელექტრონულ არხით სარგებლობისას მონაცემთა სუბიექტის ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება, მიების ველში დაფიქსირებული მონაცემების აღწერა და ანალიზი, პროდუქციის არჩევანის სიხშირის ან/და სხვა ნებისმიერ სტატისტიკურ მონაცემის ჩაწერა და მისი ანალიზი) ან/და მონაცემთა სუბიექტის მიერ დაფიქსირებული სხვა მონაცემების (მაგ. მონაცემთა სუბიექტის ან/და მესამე პირთა საკონტაქტო მონაცემები) გამოყენებას.

5. მონაცემთა დამუშავების საფუძველი

5.1. მონაცემთა სუბიექტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ ბანკის მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, ბანკის მიერ მონაცემთა სუბიექტის ან მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის მონაცემების (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავება აუცილებელია:

5.1.1. მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად ან/და მისთვის მომსახურების გასაწევად;

5.1.2. ბანკის ან/და მესამე პირ(ებ)ის კანონიერი ინტერესების დასაცავად;

5.1.3. ბანკის მიერ კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

5.1.4. მონაცემთა სუბიექტისთვის მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელებისთვის;

5.1.5. კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

5.2. თუ მონაცემთა დამუშავებისთვის, კანონმდებლობა ითხოვს მონაცემთა სუბიექტის თანხმობის არსებობას, აღნიშნულ თანხმობად ჩათვლება ნებისმიერი ელექტრონული ან/და არაელექტრონული ფორმით გაკეთებული მონაცემთა სუბიექტის განაცხადი, რომლითაც მონაცემთა სუბიექტი ეთანხმება წინამდებარე პოლიტიკას.

6. მონაცემთა დამუშავების მიზნები

6.1. ბანკის ან/და წინამდებარე პოლიტიკაში აღნიშნულ მესამე პირ(ებ)ის მიერ მონაცემთა სუბიექტის ან მის მიერ მითითებული მესამე პირების პერსონალური მონაცემების დამუშავება შესაძლებელია განხორციელდეს სხვა და სხვა მიზნით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე:

6.1.1. საბანკო მომსახურების სრულად და ჯეროვნად განხორციელებისთვის;

6.1.2. კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის აუდიტორული კომპანიების, პოტენციური ცესიონერის ან ცედენტის, მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;

6.1.3. ბანკის მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც ბანკი ახორციელებს მონაცემთა სუბიექტის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის საკრედიტო ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;

6.1.4. სხვადასხვა ანგარიშების, კვლევების ან/და პრევენტაციების მოსამზადებლად და სადემონსტრაციოდ;

6.1.5. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე თაღლითობის, ფულის გათეთრების ან სხვა დანაშაულის გამოსავლენად ან/და პრევენციისთვის;

6.1.6. არსებული კრედიტის ფარგლებში, კრედიტის თანხის ოდენობის გაზრდის, ან/და კრედიტის სხვა პირობების (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, მისი ვადიანობისა და საპროცენტის განაკვეთის) ცვლილების შეთავაზებისთვის, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის მონაცემთა სუბიექტის საკრედიტო ისტორიის გადამოწმება წამოადგენს;

6.1.7. ახალი ან/და დამატებითი საკრედიტო ან არასაკრედიტო პროდუქტების შეთავაზების მიზნით, რის სასურველ ან/და აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის მონაცემთა სუბიექტის საკრედიტო ან/და ტრანზაქციული ისტორიის ან/და ქვევითი მახასიათებლების გადამოწმება წამოადგენს;

6.1.8. მარკეტინგული მიზნით, რაც გულისხმობს, როგორც ბანკის, ასევე წინამდებარე პოლიტიკაში აღნიშნულ მესამე პირების მიერ სხვადასხვა პროდუქტების/მომსახურების პერიოდულ შეთავაზებას.

7. აპლიკანტის ან დასაქმებულის მონაცემების დამუშავება

7.1. პერსონალური მონაცემების დამუშავება შრომითი ხელშეკრულების დადების, შესრულებისა და შეწყვეტის მიზნებისათვის ბანკი უფლებამოსილია დაამუშავოს იმ პირის პერსონალური მონაცემები, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ პირის დასაქმების ან/და სტაჟირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში (შემდგომში - **აპლიკანტი**). თუ კონკრეტულ პოზიციაზე განსახილველ აპლიკანტს უარი ეთქვა დასაქმებაზე, აპლიკანტმა ვერ გაიარა შერჩევის პროცესი ან გამოსაცდელი ვადა დაასრულა წარუმატებლად, აპლიკანტის პერსონალური მონაცემები ექვემდებარება განადგურებას გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აპლიკანტს ბანკისთვის მიცემული აქვს თანხმობა (როგორც ელექტრონული ასევე არაელექტრონული) ბანკის ან/და მესამე პირების მიერ მონაცემების შემდგომ დამუშავებასა და გადაცემაზე, მისი კანდიდატურის მომავალში სხვა პოზიცი(ებ)ზე განხილვის მიზნით.

7.2. თუ აპლიკანტების შერჩევის პროცესში აუცილებელია აპლიკანტის შესახებ ინფორმაციის მესამე პირ(ებ)ისგან მოპოვება, აღნიშნული უნდა განხორციელდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე.

7.3. ის პერსონალური მონაცემები, რომლებიც უკავშირდება შრომით ურთიერთობებს, მაგრამ მოპოვებულ არ იქნა უშუალოდ შრომითი ხელშეკრულების დადების და შესრულების პროცესში, შეიძლება დამუშავდეს, თუ

7.3.1. მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

7.3.2. არსებობს აპლიკანტის თანხმობა (მათ შორის თანხმობა გამოხატული ელექტრონული ფორმით, მოქმედებით, მაგ. განაცხადის, აპლიკაციის წარდგენით და სხვა),

7.3.3. მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ბანკის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად ან/და

7.3.4. მონაცემების დამუშავება ხდება პოლიტიკის განსაზღვრული მიზნისთვის.

7.4. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ აპლიკანტის (მონაცემთა სუბიექტი) წერილობითი თანხმობით ან მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში (მათ შორის და არამართო დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად).

7.5. აპლიკანტის თანხმობა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე უნდა იყოს მკაფიოდ გამოხატული.

8. მონაცემთა მესამე პირებისთვის გაცემა/მონაცემების მესამე პირებისაგან გამოთხოვა

8.1. იმისათვის, რომ ბანკმა სრულად და ჯეროვნად განახორციელოს მონაცემთა სუბიექტის მომსახურება, მონაცემთა დამუშავების ფარგლებში აუცილებელია მონაცემების წინამდებარე პოლიტიკაში აღნიშნულ სხვა მესამე პირებისთვის გადაცემა ან/და თავად ასეთი პირ(ებ)ისაგან მონაცემთა სუბიექტის ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირების შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების გამოთხოვა.

8.2. საბანკო მომსახურების მიღების და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მონაცემთა სუბიექტი ბანკს ანიჭებს გამოუთხოვად უფლებას, მონაცემთა სუბიექტის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:

8.2.1. ბანკმა კანონმდებლობით დადგენილი წესით, მრავალჯერადად მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები;

8.2.2. საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული და სს „კრედიტინფო საქართველოსთან“ ან/და სხვა მსგავსი საქმიანობის მქონე სუბიექტთან (საიდენტიფიკაციო კოდი: 204470740, შემდგომში - „კრედიტინფო“), შეთანხმებული წესით, ფორმით და ვადებში კრედიტინფოს მიაწოდოს ან/და გამოითხოვოს კრედიტინფოსგან ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტის ან/და ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელის შესახებ, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მონაცემთა სუბიექტის ან/და მონაცემთა სუბიექტის მიერ დასახელებული პირების (ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები და სხვა) საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე ვალის წარმოშობის საფუძველს, ისტორია, ოდენობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტსა და სხვა პირობებს, მოქმედების ვადას, მონაცემთა სუბიექტის ან/და მონაცემთა სუბიექტის მიერ დასახელებული პირების (ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები და სხვა) მიერ დავალიანებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო/საარბიტრაჟო დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლო/საარბიტრაჟო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს;

8.2.3. მისცეს თანხმობა კრედიტინფოს, რომ ბანკის მიერ კრედიტინფოსთვის მიწოდებული კლიენტების ან/და მონაცემთა სუბიექტის მიერ დასახელებული პირების (ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები და სხვა) მონაცემები კრედიტინფომ გადასცეს მესამე პირებს, იმ პირობით, რომ ბანკის მიერ მიწოდებული მონაცემთა სუბიექტის ან/და მონაცემთა სუბიექტის მიერ დასახელებული პირების (ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები და სხვა) მონაცემების მიწოდება მოხდება იმ პირებისთვის, რომლებიც თავადაც აწვდიან კრედიტინფოს აღნიშნული ხასიათის მონაცემებს და რომელთაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება კრედიტინფოსთან;

8.2.4. მოიძიოს, მიიღოს და გამოიყენოს კრედიტინფოს მონაცემთა ბაზაში არსებული მონაცემთა სუბიექტის ან/და მონაცემთა სუბიექტის მიერ დასახელებული პირების (ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები და სხვა) მონაცემები;

8.2.5. ბანკმა კანონმდებლობით დადგენილი წესით, მრავალჯერადად მესამე პირებს (მათ შორის და არამარტო, დაკავშირებულ პირ(ებ)ს, მაკონტროლებელ/საზედამხედველო ორგანოებს, აუდიტორებს, პოტენციურ ცესიონერებს კომპანიას, რომელიც ბანკს აწვდის აუთოსორსინგულ მომსახურებას და სხვა), გადასცეს ან/და აღნიშნული მესამე პირებისაგან მიიღოს, ბანკისთვის აუცილებელი, მონაცემთა სუბიექტის ან/და მონაცემთა სუბიექტის მიერ დასახელებული პირების (ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები და სხვა) მონაცემები (მათ შორის და არამარტო პერსონალური მონაცემები, ანგარიშებზე ნაშთები ან/და დავალიანება, ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია და სხვა).

9. პირდაპირი მარკეტინგი

9.1. მონაცემთა სუბიექტი ანიჭებს ბანკს უფლებამოსილებას, ბანკში დაფიქსირებულ მონაცემთა სუბიექტის ტელეფონის ნომერზე, ელექტრონული ფოსტის ან სხვა საკონტაქტო მისამართზე, ბანკის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, განხორციელდეს მოკლე ტექსტური, ხმოვანი ან/და სხვა სახის სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნა (პირდაპირი მარკეტინგი), მანამ სანამ ბანკი მონაცემთა სუბიექტისგან არ მიიღებს სხვაგვარ მითითებას, მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით.

9.2. მონაცემთა სუბიექტი ანიჭებს ბანკს უფლებამოსილებას, სხვადასხვა მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით, ბანკმა გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს ბანკის ხელთ არსებული მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია ბანკის დაკავშირებულ პირ(ებ)ს. ამასთან, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილი იქნება მოსთხოვოს დაკავშირებულ პირ(ებ)ს პირდაპირი მარკეტინგის შეწყვეტა, მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით.

9.3. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, პირდაპირ მარკეტინგად არ მიიჩნევა და მონაცემთა სუბიექტი არ იქნება უფლებამოსილი ბანკს მოსთხოვოს სხვადასხვა სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა, თუ აღნიშნული სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები კლიენტს მიეწოდება უშუალოდ ბანკის მომსახურების წერტილებში (მაგ. სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება და სხვა) ან ბანკის კუთვნილ (ბანკთან ასოცირებულ) ელექტრონულ არხებში (მათ შორის ბანკომატი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი და სხვა).

10. ვიდეოთვალთვალი და აუდიო ჩაწერა

10.1. უსაფრთხოების, საკუთრებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, ბანკში მიმდინარეობს შენობ(ებ)ის გარე პერიმეტრისა და შესასვლელ(ებ)ის, სამუშაო ადგილ(ებ)ის მონიტორინგი ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩამწერი სისტემ(ებ)ის მეშვეობით, ასევე ვიდეოთვალთვალი ხორციელდება ბანკომატის ან სხვა ელექტრონული მოწყობილობების საშუალებით, ხოლო აუდიო ჩაწერა მიმდინარეობს ბანკთან სატელეფონო კომუნიკაციისას.

10.2. ბანკის მომსახურების წერტილებში, აგრეთვე ბანკთან კომუნიკაციისას ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩაწერის მიმდინარეობის შესახებ მონაცემთა სუბიექტი ინფორმირებული იქნება შესაბამისი ფორმით. მონაცემთა სუბიექტი, აცნობიერებს რა ვიდეოთვალთვალის და აუდიო ჩაწერის აუცილებლობას, თანხმობას გამოთქვამს აღნიშნული მონაცემების დამუშავებაზე.

11. მონაცემების განახლება, დამუშავების და შენახვის ვადა

11.1. ბანკის მომსახურების სარგებლობისას, ასევე მისი შეწყვეტის შემდგომ, ბანკის მიერ წინამდებარე თავში აღნიშნული ინფორმაციის ამ თავით განსაზღვრული მიზნებით დამუშავება (მათ შორის მონაცემების სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის, სს „კრედიტინფო საქართველოსთვის“ და წინამდებარე პოლიტიკაში აღნიშნულ სხვა მესამე პირებისთვის გადაცემა ან/და აღნიშნული მონაცემების მათგან მიღება) გაგრძელდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება ბანკის მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია მარეგულირებლის მიერ ან/და გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

11.2. იმ მონაცემების დამუშავება, რომელიც მონაცემთა სუბიექტის მიერ ბანკს მიეწოდა ელექტრონული არხების (ვებ-ბრაუზერი, ბანკის ვებ-გვერდი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი, ბანკის მობილური აპლიკაციები ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) საშუალებით, არ წყდება მონაცემთა სუბიექტის მიერ ამ მონაცემების ელექტრონული არხებიდან წაშლის შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემების შენახვა ასევე მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება ბანკის მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია მარეგულირებლის მიერ ან/და გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

11.3. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში, მიაწვდის კლიენტს მის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით ბანკში არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე ბანკი უფლებამოსილია დააწესოს მომსახურების საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის უსასყიდლოდ მიწოდების ვალდებულება გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

12. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

12.1. მონაცემთა ყოველ სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის პერსონალური მონაცემები ინახება მის შესახებ, როგორ და რა მიზნით შეგროვდა ეს მონაცემები;

12.2. თუ პერსონალური მონაცემები გადაეცემა მესამე პირებს, მონაცემთა სუბიექტს, მოთხოვნის წარმოდგენისას გონივრულ ვადაში უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მესამე პირების ან პირთა ჯგუფის ვინაობის შესახებ;

12.3. თუ პერსონალური მონაცემები არაზუსტი ან არასრულია, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს ასეთი მონაცემების შესწორება ან შეცვლა;

12.4. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს პრეტენზია განაცხადოს მისი მონაცემების სარეკლამო ან საბაზრო/აზრის კვლევის მიზნებისათვის დამუშავებაზე. თუ მონაცემთა სუბიექტი უარს განაცხადებს მისი მონაცემების სარეკლამო მიზნებით გამოყენებაზე, ასეთი მონაცემების სარეკლამო მიზნებით გამოყენება უნდა შეწყდეს.

12.5. მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს მისი მონაცემების დამუშავება თუ ასეთი დამუშავებისთვის არ ან ადარ არსებობს კანონისმიერი საფუძველი.

13. მონაცემთა დამუშავების საიდუმლოება

13.1. პერსონალური მონაცემები ექვემდებარება მონაცემთა საიდუმლოებას. აკრძალულია ბანკის, ბანკის შვილობილი ან/და აფილირებული პირების თანამშრომლების მიერ მონაცემების უნებართვო მოპოვება, დამუშავება ან გამოყენება. ინფორმაციის ნებისმიერი დამუშავება, რომელიც ბანკის, ბანკის შვილობილი ან/და აფილირებული პირების თანამშრომლის მიერ არ განხორციელებულა მისი ლეგიტიმური მოვალეობების ფარგლებში, ითვლება უნებართვოდ.

13.2. ბანკის, ბანკის შვილობილი ან/და აფილირებული პირების თანამშრომლებს ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების პირადი ან კომერციული მიზნებისათვის გამოყენება, ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება არაუფლებამოსილ პირებზე, ან მონაცემების სხაგვარად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. თანამშრომელთა ზედამხედველებს ევალებათ ახლად შერჩეულ თანამშრომლებს მათ მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების დაწყებისთანავე აცნობონ პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულების შესახებ და რომ მონაცემთა დაცვის ვალდებულება ძალაშია შრომითი ურთიერთობის დასრულების შემდგომაც.

14. მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოება

14.1. პერსონალური მონაცემები უნდა იქნეს დაცული უნებართვო წვდომისა და უკანონო დამუშავების ან/და გამჟღავნებისგან, ისევე, როგორც შემთხვევით დაკარგვის, შეცვლის ან განადგურებისგან. წინამდებარე წესი ვრცელდება იმის მიუხედავად, თუ რა ფორმით ხდება ინფორმაციის დამუშავება - ელექტრონულად თუ წერილობითი ფორმით. მონაცემთა დამუშავების ახალი მეთოდების, განსაკუთრებით საინფორმაციო ტექნოლოგიების ახალი სისტემები, დანერგვამდე, აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს და დაინერგოს პერსონალური მონაცემების დაცვის ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები. ასეთი ზომები უნდა იყოს უახლესი და ეფუძნებოდეს მონაცემთა დამუშავების რისკებს და მათი დაცვის ვალდებულებას.

15. მონაცემთა დამუშავების კონტროლი

15.1. მონაცემთა დაცვის წინამდებარე პოლიტიკასთან და მონაცემთა დაცვის სფეროში მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა მოწმდება და კონტროლდება რეგულარულ საწყისებზე. ასეთ შემოწმებას და კონტროლს ახორციელებს ბანკის შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი სტრუქტურული ერთეულები(ებ)ი.

16. ინფორმაციის მოპოვება/გადაცემა მესამე პირებისგან/პირებისათვის

16.1. ბანკი მკაცრად იცავს მონაცემთა სუბიექტის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, კონფიდენციალურობას, თუმცა ბანკი უფლებამოსილია მოახდინოს ამ ინფორმაციის „16.2“. პუნქტში აღნიშნულ მესამე პირ(ებ)ისათვის (შემდგომში - **მესამე პირები**) გამჟღავნება ან ამავე მესამე პირ(ებ)ისგან კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის მოპოვება თუ: (ა) ეს აუცილებელია მომსახურების ჯეროვნად შესრულებისათვის, (ბ)

განსაზღვრულია კანონმდებლობით (მაგალითად კლიენტის იდენტიფიკაცია) ან/და (გ) ემსახურება ბანკის ლეგიტიმურ კომერციულ მიზანს.

16.2. მესამე პირები:

16.2.1. საზედამხედველო, მაკონტროლებელ ან/და სარეგისტრაციო ორგანოები, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მათ მიერ შექმნილ იურიდიულ პირები (მაგალითად: საქართველოს ეროვნული ბანკი; სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური);

16.2.2. საკრედიტო ბიუროები ან/და კოლექტორულ ორგანიზაციებო, რომლებიც ახორციელებენ პრობლემური მოთხოვნებიდან გამომდინარე გადახდების შესრულებას ან/და აღნიშნული პრობლემური მოთხოვნების შეძენას (ცესია).

16.2.3. საერთაშორისო და ადგილობრივ საგადახდო მომსახურების ოპერატორები (მაგალითად Visa, MasterCard)

16.2.4. H2H (პირდაპირი ჰოსტინგი, როდესაც საგადახდო პროვაიდერებს შორის ანგარიშსწორება ან ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება საერთაშორისო საგადახდო სისტემების მონაწილეობის გარეშე) მონაწილე საპროცესინგო კომპანიები ან/და კომერციული ბანკები;

16.2.5. საგადახდო მომსახურების პროვაიდერები ან/და მათი კონტრაქტები (აღნიშნული პირები იყენებენ საგადახდო მომსახურების პროვაიდერების სერვისს და ამ სერვისის შესრულება ხორციელდება ბანკის მონაწილეობით, მაგალითად სს „თელასი“);

16.2.6. საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების ოპერატორები;

16.2.7. ბანკის კონტრაქტები ან/და კორპორატიული კლიენტები, რომლებიც იყენებენ ბანკის საგადახდო მომსახურებას საკუთარი კლიენტების (აბონენტების) გადასახდებების მისაღებად (ე.წ. ბილინგი);

16.2.8. ბანკის კონტრაქტები, რომლებიც ბანკს აწვდიან აუთსორსინგულ მომსახურებას საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით;

16.2.9. სადაზღვევო კომპანი(ებ)ი (და ნებისმიერი გადამზღვეველი), რომელთანაც ბანკს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საბანკო რისკების დაზღვევაზე.

16.3. კლიენტისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ მესამე პირების ჩამონათვალი არ არის სრული, ამომწურავი და დროდადრო მესამე პირების რაოდენობა შესაძლოა გაიზარდოს ან შემცირდეს, თუმცა მიუხედავად ამისა, მონაცემების დამუშავების კუთხით ბანკის ქმედებები შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

Privacy Policy

1. Introductory provisions

1.1. Present privacy policy (hereinafter referred to as – **the policy**) of JSC “BasisBank” (Licensed Commercial Bank , Identification Code 203841833 , according to the legislation of Georgia hereinafter referred to as **the Bank** or **We**) based on internationally recognized principles and legislation of Georgia establishes framework principles regarding personal data processing conditions.

2. Policy scope, changes

2.1. Present policy applies to the Bank and is used while processing personal data.

2.2. Policy applies to natural persons (clients of the bank) (hereinafter “**the Client**” or “**Subject of data**”), to employees of the Bank and Contractors of the Bank.

2.3. The Policy does not apply to anonimous and non-identified data (eg data for statistical evaluation or research purposes), because they are not identified as personal data. Herein only information that provides possibility of direct or indirect identification of individual- by identification number or by physical, physiological, psychological, economical, cultural or social signs is considered as personal data.

2.4. Policy can be updated periodically. The latest version of policy is available on the web-page of the Bank: www.basisbank.ge

3. Principles of personal data processing

